



## ❖ შინაარსი

- ზოგადი ცნობები
- შემოსავლის წყაროები
- პროგრამული პრიორიტეტები
- ალიანსის ინსტიტუციური გაძლიერება
- ალიანსის წევრთა რაოდენობის ზრდა
- ალიანსის წევრი სოციალური საწარმოების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა სექტორთაშორისი პარტნიორობის მეშვეობით
- ალიანსის და წევრი საწარმოების ხილვადობის ზრდა
- ქსელური და ჰორიზონტალური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა
- მიმდინარე პროექტი



## ❖ ზოგადი ცნობები

სოციალურ სანარმოთა ალიანსი წარმოადგენს სოციალური სანარმოების ქოლგა ორგანიზაციას, რომლის მთავარი მისიაც, სოციალური სანარმოების განვითარების ხელშემწყობი ეკოსისტემების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მდგომარეობს.

სოციალურ სანარმოთა ალიანსი 2016 წელს დაარსდა, საქართველოში მოქმედი, 6 წარმატებული სოციალური სანარმოს და „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ ინიციატივით.

სოციალურ სანარმოთა ალიანსი საქართველოში მოქმედ და ალიანსის წევრ სოციალურ სანარმოებს სთავაზობს შემდეგი სახის სერვისებს:

კონცეფციის პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებს; ტრენინგებსა და საკონსულტაციო მომსახურებას;

- ადვოკატირებასა და კვლევით საქმიანობას;
- თანამშრომლობისა და სექტორთა შორის კავშირურთიერთობების გაღრმავებას.

სოციალურ სანარმოთა ალიანსის სტრატეგიას განსაზღვრავს და საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს ალიანსის გამგეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს გამგეობის თავჯდომარე.

გამგეობა შედგება 7 წევრისგან:

- ნანა ჩქარეული - სოციალური სანარმო „იკორთა“ - გამგეობის თავჯდომარე;
- ეკა დათუაშვილი - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - გამგეობის წევრი;
- ირინა მანია - სოციალური სანარმო „ეთნოლიზანი“ - გამგეობის წევრი;
- კოტე სვანაძე - სოციალური სანარმო „კოდალა“ - გამგეობის წევრი;
- გიორგი არსენიძე - სოციალური სანარმო „ავტოლაიფი“ - გამგეობის წევრი;
- ლიკა კილაძე - სოციალური სანარმო „ფარშევანგი“ - გამგეობის წევრი;
- ლია ტაბატაძე - სოციალური სანარმო „ბაბალე“ - გამგეობის წევრი;

ალიანსის გამგეობის წევრთა არჩევა ხდება საერთო კრებაზე, რომელიც იმართება წელიწადში ერთხელ.

## ❖ შემოსავლის წყაროები

„სოციალურ სანარმოთა ალიანსი“ წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა. ალიანსის შემოსავლების ერთ-ერთი წყარო, ალიანსის წევრი ორგანიზაციების მიერ გადახდილი საწევრო გადასახადებია.

გარდა აღნიშნულისა, ალიანსის ფინანსური მდგრადობას უზრუნველყოფს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა.

- 2019 წელს ალიანსის საწევრო გადასახადისგან მიღებულ შემოსავალმა შეადგინა 4680 ლარი.
- 2019 წელს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შემოსული თანხა შეადგენდა 10 069 ლარი.



## ❖ პროგრამული პრიორიტეტები

სოციალურ საწარმოთა ალიანსის 2019 წლის პროგრამულ პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

### ❖ ალიანსის ინსტიტუციური გაძლიერება

სოციალურ საწარმოთა ალიანსისთვის 2019 წელი რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გამო იყო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

ალიანსის ადმინისტრაციულ გუნდს 2019 წლის მაისიდან ერთი სრული-განაკვეთით და ერთი ნახევარ-განაკვეთით დასაქმებული თანამშრომელი შემოუერთდა.

სრულ-განაკვეთზე დასაქმებულმა თანამშრომელმა დაიკავა „პროექტის ასისტენტის“ პოზიცია და მის მოვალეობებში შედის:

- აღმასრულებელი დირექტორის და ალიანსის გუნდის წევრების მხარდაჭერა დაგეგმილი საქმიანობების ორგანიზებაში;
- სამიზნე ჯგუფებთან კომუნიკაცია - სხვადასხვა ტიპის განცხადებების, წერილებისა და დოკუმენტების მომზადება;
- ალიანსის სამუშაო შეხვედრების, ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა;
- ალიანსის ვებ-ფუნქციონალისა და სოციალური მედია ანგარიშების მართვა;
- სოციალური მეწარმეობის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკების მოძიება და მისი გავრცელება დაინტერესებულ პირებისთვის, ფართო ჯგუფში;
- ალიანსის საჭიროებიდან გამომდინარე სხვა ადმინისტრაციული ფუნქციების შეთავსება.
- ნახევარ-განაკვეთიანი სამუშაო ითვალისწინებს საბუღალტრო საქმიანობის დელეგირებას დასაქმებულზე. „ბუღალტრის“ მოვალეობებში შედის:
- ალიანსის ფინანსური ოპერაციების მართვასა და განხორციელებას;
- დონორებისათვის ფინანსური ანგარიშის მომზადებას;
- კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდასა და დეკლარაციების შევსებას;
- ფინანსური კალენდარით გათვალისწინებული თარიღების მონიტორინგსა და შესაბამისი საოპერაციო საქმიანობის განხორციელებას.

### ❖ ალიანსის წევრთა რაოდენობის ზრდა

2019 წელს „სოციალურ საწარმოთა ალიანსს“ საქართველოში მოქმედი 7 სოციალური საწარმო შემოუერთდა, რომლებიც უკვე სარგებლობენ ალიანსის მიერ შეთავაზებული სერვისებით.

ეს სოციალური საწარმოებია:

#### ჩუ;

„ჩუ“ არის უესტური ენის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი სოციალური საწარმო, რომელიც სამაგიდო თამაშების მეშვეობით ხელს უწყობს საზოგადოებაში თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

საწარმოს მისიაა, სმენის შეზღუდვის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, უესტური ენის პოპულარიზაციის გზით.

თამაში რეკომენდირებულია 6 წლიდან ბავშვებისთვისა და მოზარდებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე:

<http://seageorgia.ge/ka/social-enterprises/18>

#### წნული;

სოციალური საწარმო „წნული“ 2016 წელს დაარსდა, კასპში. საწარმოს მისიაა, კასპის რაიონში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიული განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომების ზრდა, მათი სამუშაო უნარების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა.

საწარმო, ბუნებრივად მოპოვებული ნედლეულით, ამზადებს არქაული ტიპის აქსესუარებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინისათვის.

<http://seageorgia.ge/ka/social-enterprises/41>

### **დადარი;**

სოციალური საწარმო „დადარი“ 2018 წელს დაარსდა და აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის ხელნაკეთ სათამაშოებს.

საწარმოს მისიაა, სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი პროფესიული უნარების განვითარებით, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებითა და დასაქმებით.

<http://seageorgia.ge/ka/social-enterprises/35>

### **იალონი;**

სოციალური საწარმო „იალონი“ 2018 წელს, სოფელ საგურამოში დაარსდა.

„იალონი“ საგურამოსა და მიმდებარე სოფლებში მომხმარებლებს სთავაზობს, ეზოსა და ბაღის მოვლის სერვისებს.

სოციალური საწარმოს მისიაა, თანამედროვე ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის პირთა თვითრეალიზების შესაძლებლობის შექმნა, მათი და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და სტერეოტიპების მსხვრევა.

<http://seageorgia.ge/ka/social-enterprises/50>

### **პოტერია;**

სოციალური საწარმო „პოტერია“ 2018 წელს დაფუძნდა, ქართული ტრადიციული რენვის დარგის - თიხისა და კერამიკის დამუშავების ტექნიკების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის.

საწარმოს მისიაა, კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი პროფესიის ათვისებით და შემოქმედებით სახელოსნოში დასაქმების მეშვეობით.

<http://seageorgia.ge/ka/social-enterprises/33>

### **მწვანე საჩუქარი;**

სოციალური საწარმო „მწვანე საჩუქარი“ უზრუნველყოფს ქალაქის ნარჩენების შეგროვებას და მეორადი ქალაქისგან დამზადებული პროდუქციის რეალიზაციას.

საწარმოს მისიაა, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობა ნარჩენების მართვის პოლიტიკის გაძლიერებით, ინფორმაციულობის გაზრდითა და ნარჩენების მართვის კულტურის პოპულარიზაციით საზოგადოებაში.

<http://seageorgia.ge/ka/social-enterprises/37>

### **ცოდნის კაფე;**

სოციალური საწარმო „ცოდნის კაფე“ დაარსდა 2016 წელს. „ცოდნის კაფე“ არის სივრცე, სადაც შესაძლებელია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა, როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე ბავშვებისთვის, ხანდაზმულთათვის და ზრდასრულთათვის.

სოციალური კაფეს მისიაა, რეგიონში კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, სადაც მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება დააგემოვნოს თანამედროვე და ტრადიციული კერძები. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული თანხით საწარმო აფინანსებს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულთა სოციალურ აქტივობებს.

<http://seageorgia.ge/ka/social-enterprises/49>

## ❖ ალიანსის წევრი სოციალური სანარმოების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა სექტორთაშორისი პარტნიორობის მეშვეობით

სოციალურ სანარმოთა ალიანსმა წევრი სოციალური სანარმოების ეკონომიკური გაძლიერების მხარდასაჭერად უზრუნველყო სექტორთაშორისი პარტნიორობა „თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა“ და თემით დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნა ალიანსის წევრი სოციალური სანარმოების ჩართულობა შემდეგ ღონისძიებებში:

### ❖ თბილისობა 2019

თბილისის მერიასთან თანამშრომლობით „თბილისობა 2019-ის“ ფარგლებში, სოციალური სანარმოთა ალიანსის 15-მა წევრმა სოციალური სანარმომ, 2 დღის განმავლობაში, წარმოადგინა ნამუშევრები რიყის პარკში დაგეგმილი გამოფენა-გაყიდვის ფარგლებში.

„თბილისობა 2019“-ის ფარგლებში აკუმულირებულმა ეკონომიკურმა შემოსავალმა საერთო ჯამში შეადგინა 2905 ლარი.

### ❖ სოციალური სანარმოების საახალწლო მარკეტი

„სოციალურ სანარმოთა ალიანსისა“ და „სექტორი 3-ის“ ერთობლივი ორგანიზებით, 17 დეკემბერს, სექტორი 3-ის სივრცეში გაიმართა 1 დღიანი საახალწლო გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სოციალურ სანარმოთა ალიანსის წევრმა 14-მა სოციალურმა სანარმომ.

გამოფენა-გაყიდვა გაშუქდა საზოგადოებრივი მაუწყებლის „ახალი დღის“ და ტელეკომპანია იმედის „იმედის დღის“ ეთერებში.

ღონისძიების ფარგლებში აკუმულირებულმა ეკონომიკურმა შემოსავალმა საერთო ჯამში შეადგინა 2 933 ლარი.

### ❖ ალიანსის და წევრი სანარმოების ხილვადობის ზრდა

სოციალურ სანარმოთა ალიანსმა, 2019 წელს რამდენიმე ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, წევრ სოციალურ სანარმოებს საშუალება მისცა გაეზიარებინათ ინფორმაცია ფართო აუდიტორიისათვის.

### ❖ განახლებული ვებ-ფუნქციონალი

ალიანსის და მისი წევრი სოციალური სანარმოების ხილვადობის ზრდისთვის გასულ წელს ამოქმედდა სოციალურ სანარმოთა ალიანსის ოფიციალური ვებ-ფუნქციონალი ნწნ.სეაგეორგია.გე, რომელიც ერთ სივრცეში უყრის თავს ინფორმაციას საქართველოში მოქმედი სოციალური სანარმოებისა და სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. ასევე, სოციალური მენარმეობით დაინტერესებულ პირებისთვის უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას ქართულ ენაზე მომზადებულ კვლევებზე, პუბლიკაციებზე, სახელმძღვანელოსა და სტატიებზე.

საიტზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია სოციალურ სანარმოთა ალიანსისა და იმ სერვისების შესახებ, რასაც ორგანიზაცია სთავაზობს წევრ და წევრობის მსურველ სოციალურ სანარმოს. საიტზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ალიანსის წევრობის ტიპებისა და განწევრიანების პროცედურების შესახებ.

ალიანსის ვებგვერდი მრავალ-ფუნქციურია და წევრ სოციალურ სანარმოებს აძლევს შესაძლებლობას საიტზე დაარეგისტრირონ ქვე-ვებგვერდები, განათავსონ ინფორმაცია სანარმოს მისიის, მიზნებისა და სოციალური შედეგების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციის და ვიზუალური მასალების დართვით.

ვებ-ფუნქციონალზე სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია სოციალური მენარმეობის სფეროში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ვებგვერდი ფუნქციონირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

## ❖ სოციალური სივრცე

„სოციალურ საწარმოთა ალიანსი“ ასევე ხელმისაწვდომია სოციალურ ქსელებში:

www.facebook.com და www.instagram.com. ალიანსი სოციალური მედიის საშუალებით ფართო აუდიტორიას სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და ალიანსის წევრი სოციალური საწარმოების შესახებ.

სოციალურ საწარმოთა ალიანსის facebook გვერდის გამომწერთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა.

2019 წელს სოციალურ საწარმოთა ალიანსი ჩართული იყო სოციალურ მედია კამპანიაში #დააჩქარეცვლილებები. რომლის მიზანიც სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი კანონის მიღების პროცესის დაჩქარებაა.

სოციალური მედია კამპანია ფარგლებში მომზადდა 12 საიმიჯო ვიდეო სოციალური საწარმოების შესახებ, ჟურნალ „Entrepreneur Georgia-ში“ დაიბეჭდა სტატია სოციალური საწარმო „კოდალას“ შესახებ და გამოიცა 10 ელექტრონული სტატია. ასევე, 6 ელექტრონული სტატია გამოქვეყნდა „Forbes Woman Georgia-ს“ ვებგვერდზე, ქალი სოციალური მეწარმეების შესახებ.

## ❖ ქსელური და ჰორიზონტალური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა

ქსელური და ჰორიზონტალური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ალიანსი დაარსების დღიდან აქტიურად უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვასა და თანაორგანიზებას. მათ შორისაა სფეროში ყველაზე ფართომასშტაბიანი ყოველწლიური ფორუმი.

### ❖ სოციალური მეწარმეობის ფორუმი

„სოციალური მეწარმეობის ფორუმი“ ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელიც ტარდება 2012 წლიდან და მიმდინარე წელს პირველად გაიმართა „სოციალურ საწარმოთა ალიანსის“ წამყვანი-ორგანიზებით. ფორუმი იმართება სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო დღეს, შესაბამისად, მიმდინარე წელს ფორუმი 21 ნოემბერს ჩატარდა.

ფორუმის მიზანია, სოციალურ მეწარმეებსა და ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის კავშირურთიერთობების გაღრმავება, ცნების პოპულარიზაცია და ზოგადად, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში.

ფორუმზე განსახილველი წამყვანი საკითხები იყო:

- სოციალური მეწარმეობის სფეროში მნიშვნელოვანი მოვლენების შეჯამება;
- კამპანია „დააჩქარე ცვლილებების“ შედეგების გაცნობა;
- სოციალური მეწარმეობის გამოწვევები საქართველოში;
- ალტერნატიული რესურსები და შემოსავლების დიფერენცირების შესაძლებლობები სოციალური საწარმოებისთვის.

ფორუმში 110 მონაწილე ჩაერთო, მათ შორის საქართველოში მოქმედი 34 სოციალური საწარმოს, სახელმწიფო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები.

წლევანდელი ფორუმი სექტორთაშორის ხასიათს ატარებდა. სპიკერები წარმოდგენილნი იყვნენ:

- სახელმწიფო ინტიტუციებიდან: „ახალგაზრდობის სააგენტო“, „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - GITA“, „სტარტაპ საქართველო“;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“;
- ახალდაარსებული და უკვე მოქმედი სოციალური საწარმოებიდან: ფრილანსერი, პოტერია, იკორთა, ბაბალე, ეთნოდიზანი, იკორთა, ჩუ, პლასტიცნატცჰერ.გე, კოდალა.

საერთო ჯამში ფორუმზე წარმოდგენილი იყო 23 სპიკერი.

ასევე, თემატურ ჯგუფებში, 8 სოციალურმა სანარმოს და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებმა, აუდიტორიას გაუზიარეს სფეროში თავიანთ გამოცდილება, შემდეგი საკითხების შესახებ:

- სოციალური მენარმეობა და ინოვაციები;
- სოციალური სანარმოები - როგორც წარმატებული ბიზნეს მოდელები;
- სოციალური გავლენების გაზომვა და მართვა.

ფორუმის ფარგლებში გამოვლინდა გამარჯვებული ნომინაციაში „წლის სოციალური სანარმო 2019 - ბაბაღე“.

ასევე, გამოვლინდა გამარჯვებული ნომინაციაში „კოდალას რჩეული“ და ჯილდო გადაეცა სოციალურ სანარმო „დადარს“.

ლონისძიების თანაორგანიზატორი იყო „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“;

ტრადიციულად, ლონისძიების მთავარი პარტნიორი იყო „საქართველოს ბანკი“;

ვერცხლის სპონსორის ამპლუაში ფორუმს მხარი დაუჭირა „ფინკა ბანკი საქართველომ“. ასევე, ფორუმს მხარი დაუჭირეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ“, „კოდალამ“ და უურნალმა „Entrepreneur Georgia“.

სოციალურ სანარმოთა ალიანსი ფორუმის საშუალებით ჩაერთო გლობალურ ციფრულ კამპანიაში #Whoknew, რომელიც სოციალურ მენარმეებს უზრდის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო პლატფორმებზე, რათა მათ თავიანთი ისტორია მოუთხრონ საერთაშორისო მასშტაბით თემით დაინტერესებულ პირებს, აჩვენონ თუ რა განსხვავებაა სოციალურ მენარმეობასა და ტრადიციულ ბიზნესს შორის.

კამპანია აერთიანებს 400 ორგანიზაციას 27 ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოს სახელით „სოციალურ სანარმოთა ალიანსს“.





